ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სასპორტო დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ნორმების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16-ე მუხლის მეოთხე პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 61-ე მუხლისა და „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების საფუძველზე,

მუხლი. 1. განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სასპორტო დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ნორმები შემდეგი სახით:

1. საქართველოს ფარგლებს გარეთ გასამართ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთათვის:

ა. დღე - ღამეში სასტუმრო ხარჯი - ქვეყნების მიხედვით საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების სადღეღამისო ნორმების ანალოგიურად;

ბ. სადღეღამისო ხარჯი - ქვეყნების მიხედვით მოკლევადიანი სამივლინებო ხარჯების სადღეღამისო ნორმების ანალოგიურად;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ, საქართველოში გასამართ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთათვის:

ა. სპორტსმენთა კვება, ერთ დღე - ღამეში, ერთ სულზე 25 ლარი;

ბ. საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯი დღე - ღამეში, ერთ სულზე, არაუმეტეს 30 ლარისა.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ფარგლებს გარეთ გასამართ ღონისძიებებზე სპორტსმენთა და მწვრთნელთა მგზავრობის ხარჯები განისაზღვრება შესაბამის მიმართულებაზე არსებული მგზავრობის ღირებულების გათვალისწინებით და ფაქტობრივად გასაწევი ხარჯების მიხედვით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ და საქართველოში გასამართ სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენთა და მწვრთნელთა სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება განხორციელდეს მათ მიერ წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

მუხლი 4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისისა და თვითმმართველი ქალაქის ქუთაისის მიერ დაფუძნებული სასპორტო დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის სპორტული ღონისძებების დაფინანსების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 18 იანვრის N242 განკარგულება.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსებ ხახახელიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

განმარტებითი ბარათი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სასპორტო დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია განკარგულების პროექტის შესახებ:

ა) განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი:

,,დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებაში 2022 წლის 29 სექტემბრის N336 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება და მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვრა 30 ლარის ოდენობით

ბ) განკარგულების პროექტის მიღების მიზანი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სასპორტო დაწესებულებების საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ნორმების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა

2. განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ფინანსურ ხარჯებთან.

3. განკარგულების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

განკარგულების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახური.

4. განკარგულების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი - იოსებ ხახალეიშვილი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტის წარმომდგენი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსი ირაკლი გიორგაძე.

იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი